დემოკრატების ყრილობას კარგი გამოხმაურება მოჰყვა. გამომდინარე მაღალი დონის გამომსვლელებიდან (ბარაკ ობამა, ბერნი სანდერსი, ჯო ბაიდენი, ბილ კლინტონი, მიშელ ობამა, მსახიობები, მომღერლები), მედიაში ძალიან კარგად გაშუქდა კონვენციის 4ვე საღამო. აღნიშნული, სავარაუდოდ უზრუნველყოფს რეიტინგის ზრდას ჰილარი კლინტონისთვის. (უკვე უზრუნველყო 43%–39%). ამის ფონზე გაგიზიარებთ გარკვეულ მოსაზრებებს, რაც კადრს მიღმა დარჩა ან სათანადოდ არ გაშუქდა.

კანდიდატების არაპოპულარობის გამო ჰილარის კამპანიისთვის მნიშვნელობა აქვს 3 ფაქტორს: ბილ კლინტონი, ბარაკ ობამა, ბერნი სანდერსი.

ძალიან საჭირო იყო <u>ბერნი სანდერსის</u> მიმართვა და მისი მხარდაჭერა (endorsement) ყრილობის მეორე დღეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მისი მოწოდებისა, მხარი დაუჭირონ კლინტონს, ძალიან დიდია უკმაყოფილება მასსა და მის მომხრეებში კლინტონის მიმართ. ეს იგრძნობოდა მისი გამოსვლის შემდგომ ინტერვიუებშიც. ჰილარი კლინტონის acceptance speechის დროს სტადიონზე სხვადასხვა მხრიდან ისმოდა შეძახილები “მატყუარა” და მისთ. რომლის გადაფარვასაც ჰილარის მომხრეები მხარდამჭერი შეძახილებით ახერხებდნენ.

ყრილობა დაიწყო სკანდალით, რომელიც დემოკრატების კომიტეტის თავმჯდომარის (დები ვასერმან) მხრიდან [ბერნის წინააღმდეგ] ჰილარის მხარდაჭერას ეხებოდა. სანდერსის მომხრეებში არის განცდა, რომ ასეთი კონკურენტული და მცირე უპირეტესობით მოგებული პრაიმერის პირობებში დები ვასერმანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

გარდა აღნიშნულისა, უკვე დიდი ხანია სანდერსის მოძრაობის წევრები სუპერდელეგატების პრაქტიკის გაუქმებას ითხოვენ, ჰილარიმ სწორედ სუპერდელეგატების მხარდაჭერით აჯობა სანდერსს. სანდერსის მხარდამჭერების მომხრობის მიზნით ჰილარის გუნდი სუპერდელეგატების პრაქტიკის გაუქმებასაც პირდება მათ გამარჯვების შემთხვევაში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სანდერსის მომხრეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც გამოვა და მისცემს ხმას ტრამპის წინააღმდეგ, თუმცა ბევრი შეიძლება დარჩეს სახლში. ან სულაც ტრამპს მისცენ ხმა, ასეთებიც საკმაოდ არიან, გამომდინარე იქიდან, რომ ბერნი სანდერსმა საერთოდ აპოლიტიკური ელექტორატი გამოაცოცხლა, ე.წ. მილენიალები (80–, 90–იანებში დაბადებულები), რომელთაც რაიმე ტრადიციული პარტიული კუთვნილება არ გააჩნიათ.

დიდია აღბათობა, რომ სანდერსის წამოწყებული კამპანია მოძრაობად გადაიქცეს და რევოლუციური, სოციალური კამპანიით შეეცადოს მომავალში თავის დამკვიდრებას (ბევრი აცხადებს, რომ ბერნი მხოლოდ სიმბოლოა და მათ ყველას იდეები აერთიანებთ).

<u>ბილ კლინტონ</u>ის პრეზიდენტობის პერიოდი გამორჩეული იყო ამერიკის წარმატებით როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე ქვეყნის შიგნით, ეკონომიკურად. ამდენად, მის პოლიტიკასთან ასოცირება მნიშვნელოვანია ჰილარისთვის.

აქედან გამომდინარე, ბილ კლინტონის გამოსვლისას ბევრი ელოდა მკაფიო გზავნილებს ჰილარის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, თუმცა ეს უფრო მეტად იყო გზავნილები საპრეზიდენტო კანდიდატის ადამიანურ, პიროვნულ დადებით თვისებებთნ დაკავშირებით (ასეთივე ხასიათის იყო შვილის, ჩელსის გამოსვლაც).

როგორც ჩანს კამპანიის მესვეურებმა გადაწყვიტეს ბილ კლინტონის ფაქტორის გამოყენება სწორედ იმ მიმართულებით, რასაც მოისაკლისებს ჰილარი კლინტონი საზოგადოებისგან – სანდოობა, სიმპათია, ბუნებრივობა.

მაღალი პროფესიონალიზმი და საქმის კარგად ცოდნა ბარაკ ობამას გამოსვლის მთავარი ხაზი იყო. ამასთანავე, სწორი აქცენტი იყო პოზიტივით დაპირისპირება ტრამპის ცინიზმისადმი.

ტრამპის – “let’s make America great again”, ობამამ და დემოკრატებმა დაუპირისპირეს – “Amirica is already great”. ტრამპის შიშსა და იმედგაცრუებაზე აპელირებას ობამამ ამერიკელების იმედისა და მომავლის რწმენით უპასუხა.

პრეზიდენტისგან მიმართვის მასტერკლასი ვიხილეთ, რის შემდეგაც არავინ ელოდა, რომ ჰილარი ამ გამოსვლას რაიმე ფორმით გაეჯიბრებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველას შეფასებით, ჰილარის acceptance speech იყო საუკეთესო მისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში.

ჰილარის აქცენტები:

- მიმართვა ბერნის მხარდამჭერებს, რომ მათი პოზიციები გათვალისწინებული იქნება – your cause is our cause;

- დიდი დრო დაეთმო ტრამპის კრიტიკას; მისი “მე” ჰიდარიმ შეცვალა “ჩვენ”-ით;
- საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები ბევრად კომპეტენტურად გააჟღერა (თუმცა, მიუხედავად უპირატესობისა საგარე-პოლიტიკაში, ეს ვერ გახდება წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი სადებატე საკითხი. როგორც ერთერთმა ორგანიზატორმა მითხრა – you don’t win elections with Foreign Policy, ამერიკელებისთვის შიდა პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია);
- საიმიგრაციო რეფორმა (2013 წ. ინიცირებული), რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის გაჯანსაღებას, მიღიონობით ახალ სამუშაო ადგილს, თუმცა საშუალო ხელფასის მცირედ შემცირებას;
- განათლების რეფორმა – college is crucial, but a four-year degree should not be the only path to a good job.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჰილარის რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა და აღსანიშნავია, რომ ვერც ტრამპმა მისცა ტრადიციულად ცინიკური შეფასება დემოკრატების ყრილობას.

დასკვნის მაგივრად:

დღესდღეობით დემოკრატიულ სამყაროში საგრძნობია სერიოზული დისტანცირება საზოგადოებასა და ინსტიტუციებს შორის (distrust towards institutions). ამის საფუძველზე ძალას იკრებს ულტრა-მემარჯვენე (ალტერნატივა გერმანიაში, მარი ლეპენი საფრანგეთში, ჭეშმარიტი ფინელები, და სხვა მრავალი), ზოგჯერაც ულტრა-მემარცხენეც (მაგ. სირიზა საბერძნეთში, პოდემოს ესპანეთში და სხვ.), პოპულისტური, ნაციონალისტური ძალები.

ანტი-იმიგრაციული ტალღა არ არის ერთადერთი მიზეზი, და ეს უნდობლობის პროცესი მანამდეც დაიწყო და საბაბი ამისთვის სხვადასხვა არსებობდა (მაგ. ფინანსური კრიზისი). აღნიშნულთან დაპირისპირება ევროპულმა დემოკრატიებმა ტრადიციული პარტიების (სოც.დემების და კონსერვატორების) გაერთიანების გზით დაიწყეს, თუმცა ზოგჯერ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და იზოლაციონისტური განწყობის პარტიები კოალიციურ მთავრობაში მოხვდნენ.

აღნიშნულის მიუხედავად, ტენდენცია გრძელდება და პრობლემა ევროპულ პოლიტიკაში არ აღმოფხვრილა. გლობალისტებისა და იზოლაციონისტების დაპირისპირება შეცვლის მემარჯვენე-მემარცხენეთა ტრადიციულ კამათს.

მით უფრო რთულად მიდის პროცესი აშშ-ში, სადაც ორი ძირითადი პარტიის პირობებში ეს პროცესები სწორედ ამ პარტიების შიგნით მიმდინარეობს. ფაქტია, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევს პარტიების რეორგანიზაციას, თუმცა შესაძლოა არც ეს იყოს საკმარისი და რეალურად დადგეს ალტერნატიული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ორ-პარტიული სისტემის პირობებში ტრამპმა და სანდერსმა არსებული ტრადიციული პარტიების პლატფორმები გამოიყენეს საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის მოსახვეჭად (ამას დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდნენ). სანდერსის 40-წლიანი პოლიტიკური კარიერა ულტრა-მემარცხენე მოძრაობებს უკავშირდება, და მხოლოდ ბოლოს აირჩია დემოკრატები თავის საპრეზიდენტო მოძრაობის მხარდასაჭერად. ტრამპმა საერთოდ პოლიტიკური წარსულის არქონის პირობებში აირჩია რესპუბლიკური პარტია თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებელ სივრცედ და ძალიან წარმატებულადაც.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ე.წ. ამრევებმა (disrupters) და საზოგადოების უნდობლობაზე აგებული პოპულისტური კამპანიის ავტორებმა აშკარად მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს და ეს ელექტორატი, ჰილარის გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ვერსად ვერ გაქრება და აუცილებლად იპოვნის მხარდაჭერის ობიექტს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ახალი კომუნიკაციები, სოციალური მედია, გამოჟონილი ინფორმაციები და whistle-blowerები, შედეგად პოლიტიკის დახურულ კარს მიღმა წარმოების აღქმა, არაგულწრფელობა და გაჩენილი უნდობლობა – ამის შედეგად წარმოქმნილ დისტანციას ხალხსა და პოლიტიკოსებს შორის – განსხვავებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი დაჭირდება.